ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. 31 დეკემბერი № 10 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

52. ჭარხლის ცხვირგრძელასთან და შემოდგომის ხვატართან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

53. დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის შესახებ.

54. ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან სასპორტო საზოგადოება „დინამოს"-ს განთავისუფლების შესახებ.

55. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ნებადაურთველად სასკოლო შენობებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის აკრძალვის შესახებ.

56. მასალებით, მოწყობილობითა და სათბობით რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებათა და ორგანიზაციათა მომარაგების წლიური და საკვარტალო განაცხადებისა და გეგმების შედგენის წესის შესახებ.

57. 1938 წლის წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

354.01

52. ჭარხლის ცხვირგრძელასთან და შემოდგომის ხვატართან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებანი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და კოლმეურნეობანი არადამაკმაყოფილებლად ატარებენ ბრძოლას ჭარხლის მინდვრებზე ჭარხლის ცხვირგრძელასა და შემოდგომის ხვატარის წინააღმდეგ, რაც იწვევს ჭარხლის ახალგაზრდა ჯეჯილის დაღუპვას და წარმოადგენს 1938 წელს ჭარხლის დაბალი მოსავლიანობის ერთერთ ძირითად მიზეზს.

როგორც წესი, რაიონები აღნიშნული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას ატარებენ დიდის დაგვიანებით, ე. ი. იმ დროს, როდესაც ჯეჯილი უკვე დაზიანებულია, რასაც არ შეუძლია სათანადო შედეგების მოცემა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს მოაწყონ მუშაობა იმგვარად, რომ მოხდეს ჭარხლის ცხვირგრძელას კერების ლიკვიდაცია და უმნიშვნელო რაოდენობამდე იქნას დაყვანილი შემოდგომის ხვატარი უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს ცხვირგრძელასა და შემოდგომის ხვატარის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყონ მათი გამოჩენისთანავე და არ შესწყვიტონ იგი მანამ, ვიდრე ეს მავნებლები სავსებით არ იქნება მოსპობილი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს ქართულ ენაზე ინსტრუქცია ჭარხლის მავნებლებთან ბრძოლის შესახებ იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, ამასთან ფართოდ გააცნოს მოსახლეობას ჭარხლის მავნებლებთან გაძლიერებული ბრძოლის ჩატარების აუცილებლობა და ამავე დროს გამოუშვას საჭირო რაოდენობის პლაკატები.

4. დაწესდეს შხამის მასალების უფასოდ მიცემა კოლმეურნეობებისათვის ჭარხლის მავნებლებთან საბრძოლველად 1939-1941 წლებში.

5. სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის დროულად ჩატარებისა და მათი გავრცელების კერების გამოვლინების მიზნით, გაძლიერდეს ჭარხლის მავნებლობის აღრიცხვა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1939 წლის 1 იანვრისათვის მთლიანად დააკომპლექტოს აგრონომ-ენტომოლოგებით ჭარხლის მთესველი რაიონების რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებანი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. აეკრძალოს ყველა რაიონულ ორგანიზაციას, რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებას და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს აგრონომ-ენტომოლოგების გამოყენება ყოველგვარ სხვა სამუშაოებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მავნებლებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადების წინააღმდეგ ბრძოლასთან.

8. აგრონომ-ენტომოლოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარდეს 1939 წლის პირველ კვარტალში რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან ერთთვიანი კურსები.

9. რჩევა მიეცეს ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომლებსაც ჰყავთ მემინდვრეობის არა ნაკლებ ორი ბრიგადისა გამოჰყონ კოლმეურნეობაში ყველაზე გამოცდილ კოლმეურნეთა რიცხვიდან სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლის ორგანიზატორი; ხოლო ჭარხლის მთესველ იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ერთი ბრიგადა ჰყავთ, ორგანიზატორის მოვალეობა დააკისრონ მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირს.

10. როდესაც ჭარხლის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით შესრულდება იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, ენტომოლოგებს პრემიებს მისცემენ შაქრის ქარხნები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების აგრონომებისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

11. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უზრუნველჰყოს რაიონები ოპერატიული სამუშაოების დაწყებისათვის საჭირო რაოდენობის შხამის მასალითა და აპარატურით და შეამოწმოს 1938 წლის სამუშაოებისაგან დარჩენილი შხამის ხარისხი.

12. დაევალოს ჭარხლის მთესველი რაიონების რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, არაუგვიანეს 1938 წლის 30 დეკემბრისა წარუდგინონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაზუსტებული ცნობები იმ აპარატურის რაოდენობის შესახებ, რომელსაც რემონტი ესაჭიროება და მისცენ საქსოფლმომარაგებას განაცხადები აპარატურის სათადარიგო ნაწილებზე. დაუყოვნებლივ შეუდგნენ აპარატურის რემონტს და დაამთავრონ იგი არაუგვიანეს 1939 წლის 1 მარტისა.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა უზრუნველჰყონ აპარატურის რემონტის ჩატარება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სახელოსნოებში. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კუთვნილი აპარატურის, როგორც ცხენის, ისე სატრაქტორო აპარატურის—რემონტის ხარჯები გაწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისათვის გადადებული ანარიცხების ანგარიშში.

კოლმეურნეობათა გამგებლობაში არსებული აპარატურის რემონტის ხარჯებს გაანაღდებენ კოლმეურნეობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემონტის დამთავრების შემდეგ თითოეულ აპარატს სათანადო აქტით მიიღებს კომისია სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორის, უფროსი მექანიკოსისა და აგრონომ-ენტომოლოგის შემადგენლობით.

13. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თვალყური ადევნოს აპარატურის რემონტს და უზრუნველჰყოს რემონტის დამთავრება დანიშნულ ვადაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. დეკემბრის 28. № 2534.
თბილისი.

დამტკიცებულია საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 28 დეკემბრის № 2535 დადგენილებით.

24.11
032.22

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

53. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის შესახებ.

1. მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი მოწყობილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 25 ივლისის № 1183 დადგენილებით „სახლის სოკოებისაგან მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ და მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე.

2. მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი ემორჩილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და მას სათავეში უდგას საქართველოს სსრ სახალხო კომიაართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომიტეტის წევრთა პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით.

3. კომიტეტს ეკისრება:

ა) გეგმაშეზომილი და სისტემატური ბრძოლის ორგანიზაცია მერქნის ლპობის წინააღმდეგ;

ბ) მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი იმ სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობა, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ტარდება;

გ) საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციების მიერ მერქნის სოკოსთან ბრძოლის დარგში წარმოებულ სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის იმ ღონისძიებათა კონსულტაციი და ინსტრუქტაჟი, რომლებსაც ატარებენ საქართველოს სსრ ცალკეული სახალხო კომისარიატები, ცენტრალური დაწესებულებები და ორგანიზაციები.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული ამოცანების შესაბამისად კომიტეტი:

ა) შეიმუშავებს ზოგად ღონისძიებებს მერქნის ლპობის წინააღმდეგ და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

ბ) შეიმუშავებს ინსტრუქციებს მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

გ) განიხილავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმებს, რომლებსაც ცალკეული სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებანი შეიმუშავებენ, და იძლევა მათ შესახებ დასკვნებს, აგრეთვე შეადგენს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს ამ საკითხზე და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

დ) თავის სხდომებზე მოისმენს ცალკეული სახალხო კომისარიატების, ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოხსენებებს მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, განაზოგადებს და შეისწავლის მათი მუშაობის გამოცდილებას და დასახავს ღონისძიებებს მოხსენებათა გამო;

ე) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით მოიწვევს რესპუბლიკურ თათბირებს მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

ვ) მოაწყობს კონკურსებს, გამოფენებს, ექსპერტიზებს და ა. შ. აგრეთვე გამოსცემს ლიტერატურას მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

ზ) განახორციელებს იმის მეთვალყურეობას, რათა თავის დროზე იქნან უზრუნველყოფილი მშენებელი და სამშენებლო ორგანიზაციები, აგრეთვე სამშენებლო მერქნის დამზადებასა და გამოზიდვაზე მომუშავე საწარმოები შხამის მასალებით და სათანადო მოწყობილობით მერქნის ანტისეპტაციისათვის;

თ) განახორციელებს იმის კონტროლს, რათა სახალხო კომისარიატებმა ცენტრალურმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა (მშენებელი, სამშენებლო, დამამზადებელი, საპროექტო და სხვ.) შეასრულონ მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი;

ი) წამოაყენებს ცალკეულ სამეცნიერო-საკვლევო თემებს და შეათანხმებს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების (საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ნაგებობათა ინსტიტუტი) თემატურ გეგმებს მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა ნაწილში, აგრეთვე განახორციელებს ამ გეგმების შესრულების მეთვალყურეობას;

კ) განახორციელებს მერქნის ლპობის წინააღმდეგ მებრძოლი კადრების მომზადების საერთო ხელმძღვანელობას.

5. კომიტეტს აქვს თავისი ბეჭედი, თავისი დასახელების გ[illegible]ლებით.

6. კომიტეტის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

741
927

54. ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან სასპორტო საზოგადოება „დინამო"-ს განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას შენობათა გადასახადისა და მიწის რენტისაგან ლენინის ორდენის სასპორტო საზოგადოება „დინამო", აგრეთვე განთავისუფლებულ იქნას სანახაობათა გადასახადისაგან ყველა სასპორტო სანახაობა, რომელიც მოეწყობა ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონ „დინამო"-ზე და საზოგადოება „დინამო"-ს სხვა წვრილ სასპორტო ნაგებობებზე საქართველოს სსრ ქალაქებში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. **ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. დეკემბრის 28. № 2538.
თბილისი.

911.6

55. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ნებადაურთველად სასკოლო შენობებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის აკრძალვის შესახებ.

ვინაიდან მოიპოვება მრავალი ფაქტი, როდესაც ზოგიერთი სასოფლო საბჭო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი იწყებს სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობას სათანადო პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების უქონლად, რაც იწვევს სახსრების უნაყოფოდ ხარჯვას და მშენებლობის გაჭიანურებას, და შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 22 თებერვლის დადგენილებისა „ქალაქებში სკოლების მშენებლობის შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 20, მუხ. 162) და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 7 ივლისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ" (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 6, მუხ. 24), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა საქალაქო საბჭოს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს სასკოლო შენობების, სამკითხველოთა სადგომების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის დაწყება, თუ მათი პროექტები და ხარჯთაღრიცხვები არ არის დამტკიცებული საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მიერ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს სასკოლო შენობების, სამკითხველოთა სადგომებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების დროს გულმოდგინედ განიხილოს მშენებლობის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (მოედნის ამორჩევა, მშენებლობის უზრუნველყოფა მასალით და სხვ.).

3. გაფრთხილება მიეცეს საქალაქო საბჭოების, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს, რომ ამა დადგენილების დარღვევისათვის ისინი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. დეკემბრის 28. № 2546.
თბილისი.

113
415

56. მასალებით, მოწყობილობითა და სათბობით რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებათა და ორგანიზაციათა მომარაგების წლიური და საკვარტალო განაცხადებისა და გეგმების შედგენის წესის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 2 დეკემბრის დადგენილებისა „მასალებით, მოწყობილობითა და სათბობით რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებათა და ორგანიზაციათა მომარაგების წლიური და საკვარტალო ბალანსებისა და მომარაგების გეგმების შედგენის წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 56, მუხ. 316), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

იმ მიზნით, რათა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საკავშირო უწყებებს, თავის დროზე წარედგინოს წლიური და საკვარტალო განაცხადები იმ მასალებსა, მოწყობილობასა და სათბობზე, რომლებიც საჭიროა რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებისა, ადგილობრივი და რესპუბლიკური ქვემდებარეობის მეურნეობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მშენებლობისათვის, დაწესდეს განაცხადების წარდგენისა და მომარაგების გეგმების შედგენის შემდეგი წესი:

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებებსა და ოგანიზაციებს, რომლებიც მოხსენებული არიან №№ 1—10 დანართებში:

ა) შეადგინონ თავიანთი წლიური და საკვარტალო განაცხადები კაპიტალური მშენებლობისა და წარმოების ხაზით მასალებსა, მოწყობილობასა და სათბობზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ 1938 წ. 2 დეკემბრის № 835 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის ფორმების მიხედვით;

ბ) განაცხადებს, მასალებსა, სათბობსა და მოწყობილობაზე უწყებები და ორგანიზაციები შეადგენენ სათანადო პერიოდის (წელი, კვარტალი) კაპიტალური მშენებლობისა და წარმოების გეგმების პროექტების მტკიცე შესაბამისად, ნაწარმის ერთეულებზე მასალის ხარჯვის დასაბუთებული ნორმების თანახმად, ხოლო მოწყობილობაზე—სათანადო ტექნიკურ ეკონომიურ გაანგარიშებათა თანდართვით;

გ) განაცხადები მასალასა, სათბობსა და მოწყობილობაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარედგინოს დაგეგმილი წლისა ან კვარტალის დაწყებამდე 55 დღით ადრე.

2. იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მოწყობილობის შესახებ განაცხადების წარდგენა სსრ კავშირის სახლახო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საკავშირო მწარმოებელი სახალხო კომისარიატებისათვის დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე 45 დღით ადრე, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რესპუბლიკური ქვემდებარეობის უწყებებისა და ორგანიზაციების შემოწმებული განაცხადების საფუძველზე შეადგინონ რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მეურნეობისათვის საჭირო მასალების, მოწყობილობისა და სათბობის ნაკრები გეგმები მთელი წლისა და კვარტალისათვის, რაც წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არაუგვიანეს 50 დღისა დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე.

3. ქალაქ თბილისისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობის შესახებ განაცხადებს თბილისის საქალაქო საბჭო უშუალოდ წარუდგენს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სათანადო მიმწოდებელ სახალხო კომისარიატებს დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე 45 დღით ადრე.

განაცხადებს ხელს უნდა აწერდეს თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

განაცხადების ასლები წარედგინება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

სათბობის შესახებ განაცხადებს თბილისის საქალაქო საბჭო წარუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დასაგეგმავი პერიოდის დაწყებამდე 55 დღით ადრე.

4. საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების იმ ფონდების საფუძველზე, რომლებიც წლისა და კვარტალისათვის დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ, დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიმუშაოს რესპუბლიკის მასალებისა, მოწყობილობისა და სათბობის წლიური და საკვარტალო ფონდების განაწილება მომხმარებლებს შორის, ამასთან აღნიშნული განაწილება დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არაუგვიანეს 5 დღისა იმ მომენტიდან, როდესაც მიღებული იქნება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს დადგენილება ფონდების გამოყოფის შესახებ.

მომარაგების გეგმებში გამოიყოფა მასალებისა და მოწყობილობის დამოუკიდებელი ფონდები ცალ-ცალკე იმ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების საწარმოო საჭიროებისა და კაპიტალური მშენებლობისათვის, რომლებიც აღნიშნულია № 3 დანართში, ხოლო სათბობის ფონდები—იმ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების მიხედვით, რომლებიც აღნიშნულია № 2 დანართში.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და სარეწაო-კოოპერაციის საწარმოო საექსპლოატაციო საჭიროებისათვის დანიშნულ ფონდებში ცალკე გამოიყოფა ის მასალები, რომლებიც დანიშნულია ფართო მოხმარების საგნებისათვის.

5. განაცხადებს იმ მასალებისა და მოწყობილობის შესახებ, რომლებიც არ არის აღნიშნული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წ. 2 დეკემბრის დადგენილების № 1 დანართში (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 56, მუხ. 316), რესპუბლიკური უწყებები და ორგანიზაციები უშუალოდ წარუდგენენ მწარმოებელ სახალხო კომისარიატებს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ფონდირებული მასალებისა და მოწყობილობის განაწილების გეგმასთან ერთად დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი ბალანსები და მომარაგების გეგმები:

ა) შეშის ბალანსი და უწყებებისა და ორგანიზაციების შეშით მომარაგების წლიური და საკვარტალო გეგმა;

ბ) ადგილობრივი საშენი მასალების ბალანსი და გეგმა იმ კაპიტალური მშენებლობის მომარაგებისა, საკედლე მასალებით (აგური, ტუფი, ბეტონიტი და სხვ.), სახურავი მასალით (კრამიტი, სახურავი ფიქალი), და შემკვრელი მასალით (კირი), რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხორციელდება.

7. იმ უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც შეშისა და ადგილობრივი საშენი მასალის დამზადებას ეწევიან, ყოველწლიურად და ყოველ კვარტალურად წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ცნობები თავიანთი პროდუქციისა და სხვა რესურსების ოდენობის შესახებ.

ამავე ვადისათვის ყველა მომხმარებელმა უწყებამ და ორგანიზაციამ (შეშისა და ადგილობრივი მასალის), რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ, მიუხედავად ქვემდებარეობისა (საკავშირო რესპუბლიკური), წარუდგინონ თავიანთი წლიური და საკვარტალო განაცხადები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

რესურსების შესახებ ცნობებისა, შეშასა და საშენ მასალაზე განაცხადების წარდგენის ვადა დაწესდეს 45 დღე დასაგეგმავი პერიოდის დაწყებამდე.

8. აიკრძალოს მასალებისა და მოწყობილობის მოწოდებაზე საკვარტალო ფონდების ანგარიშში გაცემულ განრიგების ანულირება.

როგორც შემოტანილ ფონდირებული, ისე ადგილობრივ მასალასა და შეშაზე გაცემული განრიგება ძალაში რჩება წლის დამლევამდე.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გასანაწილებელ რესურსებში რეზერვის სახით გაითვალისწინოს საჭირო რაიონების ადგილობრივი საშენი მასალა და შეშა წინა კვარტალების ნაკლტვირთვის დასაფარავად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. დეკემბრის 28. № 2561.
თბილისი

დანართი № 1.

ს ი ა

იმ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უდგენენ განაცხადებს ფონდირებულ მასალასა და მოწყობილობაზე.

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო და სახკომსაბჭო.
2. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.
3. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.
4. განსახკომი, აქედან სახელმწ. უნივერსიტეტის ფიზიკურ-ქიმიური კორპუსის მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.
6. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. მთავარი საგზაო სამმართველო.
7. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ხელოვნების საქმეთა სამმართველი.
8. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. კინოფიკაციის სამმართველო.
9. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ფიზკულტურის საქმეთა სამმართველო.
10. სარეწაო საბჭო.
11. საქსარეწტყეკავშირი.
12. საქკოოპინკავშირი.
13. ლიტფონდი.
14. კულტმომარაგება.
15. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო.
16. მონკავშირი.
17. ბერიას სახელობის სტადიონ „დინამოს" მშენებლობა.
18. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მშენებლობა.
19. აზნავთგასაღება.

დანართი № 2.

ს ი ა

იმ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც განაცხადებს ურდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და რომლებსაც გამოეყოფათ სათბობის დამოუკიდებელი ფონდები.

1. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.
2. თბილისის საბჭო.
3. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.
4. განსახკომი.
5. სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.
6. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა სამმართველო.
7. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ხელოვნების საქმეთა სამმართველო.
8. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. მთავარი საგზაო სამმართველო.
9. საკავშირო პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამმართველო საქართველოს სსრ-ში.
10. სარეწაო საბჭო.
11. საქსარეწტყეკავშირი.
12. საქკოოპინკავშირი.
13. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო.
14. აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. აჭარის ასსრ სახკომსაბჭო.
16. ფინსახკომი.
17. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველო.
18. წითელი ჯვარი.
19. საქ. სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობა.
20. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველობა.
21. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობა.
22. საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობა.
23. გამომცემლობა „კომუნისტი".
24. „ „ზარია ვოსტოკა".
25. „ „მუშა".
26. „ „ფედერაციი".
27. სხვადასხვა ორგანიზაციები (რაიკომები, რაიალმასკომები და სხვა ორგანიზაციები).
28. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი.

დანართი № 3.

ს ი ა

იმ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციებისა, რომლებსაც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ გამოეყოფათ ფონდირებული მახალებისა და მოწყობილობის დამოუკიდებელი ფონდები.

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო და სახკომსაბჭო, აქედან: აფხაზეთის ასსრ მთავრობის სახლი.
ადმინისტრატიული სახლები საქართველოს რაიონებში.
2. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.
აქედან: ტალკმშენი.
მუსიკალური კომბინატის მშენებლობა.
ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის რეკონსტრუქცია.
26 კომისრის სახელობის ქარხნის რეკონსტუქცია.
მშრალი წნეხვის აგურის ქარხანა (ქ. თბილისი).
3. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.
აქედან: სტალინირის ჰიდროელსადგური.
ბორჩალოს „
ჩხარის „
ქუთაისის ხიდი.
საბინაო მშენებლობა.
სასასტუმრო „
სოხუმის წყალსადენი.
ბათუმის „

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. განათლების სახალხო კომისარიატი.
   აქედან: საქალაქო სკოლები.
   სასოფლო „
   სადეკრეტო მშენებლობა.
5. სახელმწ. უნივერსიტეტის ფიზიკურ-ქიმიური კორპუსის მშენებლობა
6. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. მთავარი საგზაო სამმართველო.
7. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ხელოვნების საქმეთა სამმართველო.
   აქედან: ა) ბათუმის თეატრის მშენებლობა;
   ბ) ქუთაისის თეატრის მშენებლობა.
8. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. კინოფიკაციის სამმართველო.
9. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ფიზკულტურის საქმეთა სამმართველო.
10. ბერიას სახელობის სტადიონ „დინამოს“ მშენებლობა.
11. სარეწაო საბჭო.
12. საქსარეწტყეკავშირი.
13. საქკოოპინკავშირი.
14. ლიტფონდი.
15. კულტმომარაგება.
16. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო.
17. მონკავშირი.
18. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მშენებლობა.
19. აზნავთგასაღება.
20. საქ. სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი.

122.3

57. 1938 წლის წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ.

იმ მიზნით, რათა თავის დროზე და ხარისხობრივად იქნას შედგენილი და დამტკიცებული 1938 წლის წლიური საბუხჰალტრო ანგარიშები და ბალანსები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ დაწესებულებას სამი დღის ვადაში დააწესონ მათ გამგებლობაში მყოფი სამეურნეო ორგანოებისა და საწარმოთა მიერ 1938 წლის წლიური ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის კალენდარული ვადები, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის დაწესებული ზღვრული ვადების დარღვევა,— საწარმოების მიერ არაუგვიანეს 1939 წლის 5 თებერვლისა, ხოლო ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანოების მიერ—არაუგვიანეს 1 მარტისა. სახალხო კომისარიატებმა და ცენტრალურმა დაწესებულებებმა კალენდარული ვადები აცნობონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სათანადო სპეციალურ ბანკებს არაუგვიანეს 1939 წლის 5 იანვრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაეკისროს სახალხო კომისრებსა და საქართველოს სსრ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს იმის პერსონალური პასუხისმგებლობა, რომ სათანადო ხარისხით და თავის დროზე იქნას წარდგენილი 1938 წლის ნაკრები ანგარიშები დადგენილი წესით 1939 წლის 1 მაისამდე.

3. წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენის, წარდგენისა და დამტკიცების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ დებულებით სახელმწიფო და კოოპერატიულ სამეურნეო ორგანოებისა და საწარმოთა საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 29 ივლისის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 42, მუხ. 359), აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით „ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 22, მუხ. 158).

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისრებსა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

ა) უზრუნველჰყონ 1938 წლის წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენისათვის ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა და პირადად განიხილონ ყველა მათ გამგებლობაში მყოფი საწარმოსა და დაწესებულების 1938 წლის ბალანსები;

ბ) უმოკლეს ვადაში ამოფხვრან ჩამორჩენა საბუხჰალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების დარგში;

გ) თავის დროზე მიიღონ ზეგავლენის ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც კეთილსინდისიერათ არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ სამუშაოს, რაც იწვევს 1938 წლის წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დროულად და სათანადო ხარისხით შედგენის ჩაშლას.

5. აიკრძალოს 1938 წლის წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენაზე მომუშავე ყველა საანგარიშო დარგის მუშაკის მობილიზაცია სხვა სახის სამუშაოებისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს, აგრეთვე სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს:

ა) უზრუნველჰყონ წლიური ანგარიშის ფორმების ბლანკებისა და მათი შევსების ინსტრუქციების დაყვანა საწარმოებამდე, ტრესტებამდე და სხვა სამეურნეო ორგანოებამდე 5 დღის ვადაში;

ბ) დააწესონ მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი წლიური საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შედგენისადმი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სისტემატურად ადევნოს თვალყური სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებათა მიერ წლიური ანგარიშების განხილვასა და დამტკიცებას ლ. მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ყოველ თხუთმეტ დღეში ერთხელ მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ საქალაქო საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ საბალანსო კამპანიის საკითხები და არაუგვიანეს 1939 წ. 5 იანვრისა მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ 1938 წლის საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დროულად და ხარისხობრივად შედგენას.

საქ. სსრ ს. კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. დეკემბრის 31. № 2585.
თბილისი.

F 133
1938
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68.

მთავლ. № 491 შეკვ. № 242 ტირაჟი 1500